საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/37

ქ. ბათუმი 13 მარტი, 2019 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის 2019 წლის 05 მარტის N267523 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში არაუმეტეს 2 თვის ვადით სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტსა და ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.
3. კონკურსანტმა 2019 წლის 14 მარტიდან 2019 წლის 22 მარტის ჩათვლით ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:
   ა)წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (სტაჟირების გავლის წესით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად შევსებული);
   ბ)პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ)CV;
   დ)ცნობა აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემიდან სასწავლო ბარათი;
   ე)ერთი ფოტოსურათი (3X4);
   ვ)ცნობა სოციალური დახმარების მიღების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
   ზ) სამოტივაციო წერილი.
4. სტაჟიორთა შერჩევისას გაითვალისწინება: ინგლისური ენის არანაკლებ A2 დონეზე ცოდნა; საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; სტუდენტის აკადემიური მოსწრება და მოტივაცია. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება სოციალური დახმარების მიმღები ოჯახის კანდიდატს.
5. კონკურსის წესით შეირჩეს 4 სტაჟიორი (ორ-ორი სტაჟიორი, დღის პირველ და მეორე ნახევარში სამუშაოდ). შერჩეულმა კანდიდატებმა 2 თვის განმავლობაში გაიარონ სტაჟირება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში შემდეგი განრიგით:
   ა) პირველ ცვლაში: ორშაბათი - პარასკევი 9^{00}სთ - 13^{00}სთ;
   ბ) მეორე ცვლაში: ორშაბათი - პარასკევი 14^{00}სთ - 18^{00}სთ;

6. შერჩეულმა სტაჟიორებმა სტაჟირების პერიოდში უნდა შეასრულონ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები.
7. სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე განისაზღვროს წარმატებული სტაჟიორები, რომლებიც შესაძლებელია დასაქმდეს არაუმეტეს 6 თვიანი კონტრაქტით და მათზე გაიცეს სერთიფიკატები.
8. სტაჟირების კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას სტაჟიორთა საკონკურსო კომისია, რომელმაც განსაზღვროს კონკურსის ჩატარების ვადები და ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
9. კონტრაქტით დასაქმების შემთხვევაში ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით, არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით.
10. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
11. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
12. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
14. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე